სამშაბათი 28 ივლისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით: 7 ½ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიან ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემ.დეგ 4 მან.

№ 140 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 140

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 67.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
საზაფხულო შენობაში.
ორშაბათიდან, 27 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:
დაიმსხვრა სიცოცხლე, გაცრუვდა ოცნება.
1002 მოხერხება. ფარსი ბაუერის მონაწილეობით.

მეუღლე მანანა ზურაბის ასული, შვილები: დიმიტრი, ევგენია, თამარა და ეკატერინე, სიძეები ვლადიმერ ტატიშვილი და არტურ უნდრიცი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 ივლისს, დილით გარდაიცვალა ნოტარიუსის თანაშემწე
სოლომონ გურგენის ძე გოდერძიშვილი.
პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე, კაზაკოვის ქუჩა № 4.
დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1—540

ქვრივი ეკატერინე ვასილის ასული კვიცარიძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 30 ივლისს, სოფ. ოფურჩხეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი მისის ქმრის უდროოდ გარდაცვალებულის ნადვორნი სოვეტნიკის
ექვთიმე პავლეს ძის კვიცარიძის
სულის მოსახსენებლათ. 1—1—541

მეუღლე ელისაბედი, შვილები: მზეხა, ბეჟანი, ლეო და თამარი, ძმა მღვდ. ლუკა; დები: ქეთე და ბაბილინა; რძლები: ნატალია, ანტონინა და სალომე; შვილიშვილები: შუშანიკა, ნიკა, დარეჯანი და არჩილი; სიძეები: ნესტორ ბლიაძე, ვარლამ ინაძე და მოსიკო არაბელიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ
ვასილ სოფრომის ძის ხუნდაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 28 ივლისს, ოზურგეთის ეკლესიის სასაფლაოზე. 2—2

1915 წლის 28 ივლისიდან დაიწყება
იაფი ვაჭრობა
ფართლეულის ნაჭრებით და თოფობითაც.
რადგანაც დროისა გამო შეუძლებელია „ვიზორის შეკრება მაღაზიაში,— ამისთვის საჭიროთ დავინიშნეთ ერთდროულად იაფათ გავყიდოთ, რაც ფართალი გვაქვს და მოვსპოთ ვაჭრობა. ამიტომ ვაუწყებ პატივცემულ მყიდველებს ისარგებლონ შემთხვევით.
საქონელია სხვადასხვა: საზაფხულო—სუფთა და მჩალტე, უვალნი, შალების; ამნაირივე უცხოეთის ძაფის, აჟურნიდა, ვაფლინი ჩითები, საკასტუმეები ყოველ დროის შალეული ქალისა და კაცის, აბრეშუმეული, სტოლის საფრები, ტულები და ქალის შეკერილი პალიტოები და სხვადასხვა (ფასები საქონელზე დაწერილია). ქუთაისი, აზოვის ბანკის ქვედა სართული.
ზ. პატარიძე.

## ომის დღიური.

კავკასიის მთელ ფრონტზე ბრძოლები სწარმოებს.

ოლთისის მიმართულებით ოსმალოთა ყველა იერიშები მოიგერეს და რუსებმა შეინარჩუნეს ყველა დაკავებული ადგილები. ბრძოლები სწარმოებს სარაყამიშის, ალეშქერტის და მერგემირის მიმართულებით.

ბრძოლები პოლონეთში დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს. რუსის ჯარი მტერს გაუსხლტდა და ვარშავა უბრძოლველათ დასტოვა. ახლა დგება ბრძოლის მეორე ხანა. რუსის ჯარი შეჯგუფდება კოვნო-გროდნო ბელოსტოკ-ბრესტ-ლიტოვკის ფრონტზე და აქ დაიწყება გადამჭრელი ბრძოლები. მტერი უკვე მოახლოვებია კოვნოს ციხის მოწინავე პოზიციებს ნემანის მარცხენა ნაპირზე. ოსოვეცსაც მოახლოებიან და მისი მოწინავე სიმაგრეები ხელთ უგდიათ სოსნოსთან, მაგრამ აქედან უკუქცეულან.

ოსტროვოსთან მტერს თავისი მოქმედების ასპარეზი გაუფართოებია. აქ მას წინ წაუწევია და კიდევ რამდენიმე ადგილი ჩაუგდია ხელში.

რუსებმა მოიგერეს ხეროცკთას მტრის იერიშები.

ვისლაზე მტარი ხიდების გადებას სცდილობს, მაგრამ რუსის მძიმე არტილერია თავისი მარჯვე მოქმედებით მტერს ხელს უშლის. ვისლასა და ბუგს შუა მტერი წინ მიიწევს ჩრდილოეთისაკენ და ხოლმიდან ბრესტამდე თითქმის შუა გზაზე იმყოფება. აქ დიდი ბრძოლები მომხდარა კუროვსა და კონცკს შუა და აგრეთვე ვეპრჟის მარჯვენა ნაპირზე ლენჩინის ჩრდილოეთით.

ბუგზე, ზოლოტაია ლიპაზე და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა.

## ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 25 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის რაიონში სროლაა. ოლთისის მიმართულებით მოვიგერეთ ოსმალოთა ყველა იერიშები და შევინარჩუნეთ წართმეული ადგილები. სარაყამიშის მიმართულებით ჩვენთვის სახეირო ბრძოლა იყო. ბრძოლა ვითარდება მერგემირის უღელტეხილის რაიონში. ალეშქერტის მიმართულებით ჩვენი მოქმედება სახეიროთ ვითარდება ოსმალოთა პოზიციების ერთი საგულისხმო პოზიცია მაღალ ადგილზე ავიღეთ ხელჩართული ბრძოლის შემდეგ, მრავალი ოსმალო გაიჟლიტა. წამოვიყვანეთ ტყვეები და ვიხელთეთ ტყვიის მტყორცნელები და სამხედრო სურსათი.

**პეტროგრადი.** 26 კავკასიის ჯარის შტაბისაგან.

მთელ ფრონტზე ბრძოლა გრძელდება.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 25 ივლ. ოფიც. მთავარ სარდლის შტაბისაგან. დვინასა და ნემანს შუა ბრძოლა 24 ივლ. ფრონტის უცვლელათ გრძელდებოდა. კოვნოსთან მტერს იერიშები მოაქვს ციხის მოწინავე პოზიციების საწინააღმდეგოთ ნემანის მარცხენა ნაწილზე. ჩვენი მძიმე არტილერია უპასუხებს.

ოსოვეცთან 24 ივლისს დილით მტერმა მოქმედება გააცხოველა და შხამიანი გაზები გამოუშვა. შემდეგ იერიშები მოიტანა სიმაგრეზე და ხელთ იგდო სოსნის სიმაგრეები, მაგრამ კონტრ იერიშით მტერი ყველა ადგილებიდან გავდევნეთ. ნარევზე სასტიკი ბრძოლაა. ოსტროვოს გზებზე მტერმა მრავალი შეტაკების შემდეგ მოახერხა რამდენიმეთ წინ წაწევა და დაკავებული ადგილის გაფართოება. მტრის იერიშები სეროცკთან ჩვენ მოვიგერეთ. ვისლაზე სროლაა. ჩვენმა მძიმე არტილერიამ მარჯვეთ ესროლა მტრის სამუშაოებს ვისლაზე. ვისლასა და ბუგს შუა სასტიკი ბრძოლა წარმოებდა კუროვიდან კონცკამდი და ვეპრჟის მარჯვენა ნაპირის რაიონში ლენჩინის ჩრდილოეთით. ბუგზე ზოლ. ლიპაზე და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი.** 26 ივლ. მთავარსარდლის შტაბისაგან. რიგის მიმართულებით ჩვენ მტრისაგან გავწმინდეთ ადგილი დვ ნასა და მდ. ეკუას შორის და მდ. ქვემო ნაწილზე. პონევეჟის აღმოსავლეთით ბრძოლა წინანდებურათ გრძელდება. ცვლილება არ მომხდარა. კოვნოსთან და ოსოვეცთან იერიშების მოგერების შემდეგ, მტერს იერიშები აღარ განუახლებია. ნარევის ხაზზე მტერს მთელ ფრონტზე მტერს იერიშები მოაქვს. მთავარი ძალა მიმართულია ლომჟა ოსტროვოს წინააღმდეგ. შუა ვისლის მარჯვენა ნაპირზე დღემ უცვლელათ ჩაიარა, მდ. ვეპრჟის მარცხენა ნაპირზე გრძელდება არიერგარდების ბრძოლები. კონტრ-იერიშების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ რამდენიმე ასეული ტყვე. ვეპრჟსა და ბუგს შუა არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ბუგის მარცხენა ნაპირზე მდ. ტურიასა და ლუგას შუა ჩვენ ფართო ფრონტზე მტერი შევავიწროეთ. ზემო ბუგზე, ზოლ. ლიპაზე და დნესტრზე არტილერიის უმნიშვნელო სროლაა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 25 ივლ. ოფიციალური. ღამემ წყნარათ ჩაიარა. ფრონტის დასავლეთის ნაწილში მოხდა რამდენიმე შეტაკება სუშეს გარშემო. არტილერიის ბრძოლები იყო ტრასილევალისა და ბერიოპაკას რაიონში. არგონში ბრძოლებია პეტარდებით და ხელით სასროლ ყუმბარებით. 213 მეტ. სიმაღლის რაიონში ჩვენ მოვიგერეთ მტრის იერიში. ვოგეზში ცვლილება არ მომხდარა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 25 ივლ. მთელი ფრონტის პირზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. კორსოში ცოტათი წინ წავიწიეთ. დავატყვევეთ 160 ჯარის კაცი, მათ შორის ერთი აფიცერი. დოვერდოს ტბასთან ჩვენმა მფრინავებმა მტრის ბანაკში ყუმბარები ჩამოყარეს. ჰაეროპლანი უვნებლათ უკან დაბრუნდა, მეორე ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა ოპჩინას რკინის გზაზე. უკან დაბრუნების დროს მტრის ჰაეროპლანი დაედევნა, მაგრამ ჩვენმა ჰაეროპლანმა ის უკუ აქცია.

### ომის წლისთავი.

**ჰავრი** 23 ივლ. ომის წლისთავის გამო ინგლისის მეფემ ბელგიის მეფეს დეპეშა გაუგზავნა და იმედი გამოსთქვა, რომ საერთო მოქმედებით მოკავშირენი შესძლებენ სამართლის აღდგენას. ბელგიის მეფემ დეპეშითვე უპასუხა და მადლობა გადაუხადა.

### მუშათა არეულობა.

**პარიზი.** 23 ივლ. „იუმანიტეს“ ჰავრიდან აუწყებენ, რომ ბორივაჟში მოხდა დიდი გაფიცვა. გერმანიის ჯარისკაცებმა გაფიცულებს ესროლეს. მოკლულია ორი ჯარისკაცი და შვიდი მუშა, არის რამდენიმე დაჭრილიც. გერმანიის ჯარისკაცებმა დაიკავეს მაღაროები. სიძვირის გამო შარლერუაში აჯანყება მოხდა, დაარბიეს მაღაზიები. მოკლულია 10 და დაჭრილია 40 კაცი.

### ჩაძირული გემების რიცხვი.

**ლონდონი.** 23 ივლ. ერთი კვირის განმავლობაში 22 ივლისამდი, წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს ბრიტანიის ექვსი სავაჭრო გემი. ინგლისის პორტებში შესულ გემთა და გასულთა საერთო რიცხვი 135-უდრის.

### ბირჟა.

**სტოკჰოლმი.** 24 ივლ. ვენის „ფრემდენბლატის“ სიტყვით სათათბიროში წარმოთქმულმა სიტყვებმა გამოიწვია ბირჟაზე ცვლილება, ბერლინის ბირჟაზე კურსი დაეცა. ვარშავის დატოვების ცნობამ ვენაში გამოიწვია კურსის დაკლება.

### ახალი გადასახადი.

**პეტროგრადი.** 24 ივლ. სათათბიროს ფინანსიური კომისია ფინანსთა მინისტრის დასწრებით შეუდგა შემოსავლის კვალობაზე გადასახადის კანონპროექტის განხილვას. გადასახადი დაედება ყველა იმ პირს, რომლის წლიური გადასახადი 1000 მან. აღემატება ერობანი და ქალაქები გადასახადიდან განთავისუფლდებიან. გადასახადი დაედებათ აქ კიონერულ საზოგადოებებს. კომისიამ უარყო ლვოვ მესამის წინადადება, რომლითაც გადასახადი უნდა შემოეღოთ ფინლიანდიაშიდაც.

### სკუპშჩინის მოწვევა.

**ნიში.** 23 ივლ. აგვისტოს პირველ რიცხვებში მოიწვევენ სკუპშჩინას. ეს ნაბიჯი გამოწვეულია მოკავშირეთა კოლექტიური წინადადების გამო სერბიისადმი, მოკავშირეთა წარმომადგენლებმა ბალკანეთის სადაო კითხვების გამოსარკვევათ სერბიის მთავრობას წინადადება წარუდგინეს, ამ წინადადებას მეგობრული ხასიათი აქვს და აზრათ აქვს ბალკანეთში მეგობრული დამოკიდებულება ჩამოაგდოს.

### ვარშავის დატოვება

**პარიზი.** 24 ივლ. ვარშავის დატოვების ამბავი საფრანგეთში სრულის სიმშვიდით მიიღეს. დარწმუნებული არიან, რომ ომის მსვლელობა ამით ოდნავაც არ შეიცვლება, მოკავშირენი თავის აზრსა და გადაწყვეტილებას არ შესცვლიან. პუანკარეს მოწოდებაში ნათქვამია: ვარშავის დატოვება თუმცა ჩვენთვის სამძიმოა, მაგრამ ჩვენში დემორალიზაციას ვერ გამოიწვევსო.

### რუსეთის კანცელარიის წესები.

**პეტროგრადი** 25 ივლ. არტილერიის სამმართველოში მუშის ქარხნების ბიუროსგან წინადადება შემოვიდა, რომ ქარხნებს სურთ მონაწილეობის მიღება საჭირო სამხედრო სურსათის დამზადებაში და სამმართველოს თხოვდენ ეცნობათ, თუ რითი შეუძლიათ მათ დახმარება. გენერალ-მაიორმა სვიდერსკიმ ცნობა გაუგზავნა მექარხნეთა ბიუროს, რომ სანამ ის ღერბის მარკებს არ გამოგზავნის, მისი წინადადება უყურადღებოთ დარჩებაო. სამხედრო სამინისტროს გამგემ ასეთი წესისთვის გენერალს საყვედური გამოუცხადა.

### კანადის პრემიერის სიტყვა.

**ლონდონი.** 24 ივლ. კანადის პრემიერმა ლონდონში სიტყვა წარმოსთქვა. გერმანელებმა დღეს მიზანს მიაღწიეს, რომელიც მათ ცხრა თვის წინათ ქონდათ განზრახული. მაგრამ ეს ოდნავაც ვერ შეაშინებს ბრიტანიას და მის ახალშენებს ომი განაგრძონ კიდევ მეტის გამბედაობით და მეტის სიმამაცით.

### დარდანელი.

**ათინა.** 24 ივლ. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ენვერ-ფაშა დარდანელში მოვიდა და ჯარი დაათვალიერა, აქედან ის წავიდა ადრიანოპოლში.

ინგლისის წყალქვეშა ნავმა ნაღმი ესროლა გალათის ხიდს. სკუტარის ოსმალოთა ბატარეებმა ნავს ესროლეს.

მარმარილოს ზღვაში შენიშნეს მოკავშირეთა შვიდი წყალქვეშა ნავი. რამდენიმე დღის წინათ ამ ნავებმა ესროლეს მატარებელს, დააზიანეს

ლოკომოტივი და ვაგონები. მეორე წყალქვეშა ნავმა მალტეპესთან ჩასძირა ნახშირის დიდი ტრანსპორტი.

**მოკავშირეთა წინადადების წინააღმდეგ.**

**ათინა.** 25 ივლ. ვენიზელოს და მთავრობის მომხრე ორგანები ამტკიცებენ, რომ საბერძნეთი არა თუ უარს იტყვის ტერიტორიალური კომპენსაციის შესახებ, თეორეტიულადაც არ განიხილავს ბულგარეთის მოთხოვნას.

**მრეწველთა წარმომადგენლების კრება.**

**პეტროგრადი.** 25 ივლ. შესდგა მრეწველთა წარმომადგენლების კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს გუჩკოვი. მის ამხანაგებათ კუკოვსკი, ლვოვი, რიაბუშინსკი და ჩელნოკოვი. გუჩკოვმა სთქვა: უნდა მოვიკრიბოთ მთელი ძალა, რომ ჯარი სურსათის მხრით უზრუნველ ვყოთ, სიტყვები წარმოსთქვეს როძიანკომ, ლვოვმა, ჩელნოკოვმა.

**გემის ჩაძირვა.**

**ლონდონი.** 24 ივლ. ბრიტანიის გემი „მიდლენდკინი" ჩასძირა წყალქვეშა ნავმა. კომანდა გადარჩა.

**დარდანელი.**

**სოლუნი.** 25 ივლ. პორტო ლაგოსზე სასტიკი თვალყურის დევნების შემდეგ, გერმანიის წყალქვეშა ნავები იძულებული გახდენ დაეტოვებიათ თავისი მთავარი სადგომი. ისინი გაჩნდენ ახლა ენოსთან. მოკავშირეთა ფლოტმა ზომები მიიღო და სანაპიროების ბლოკადა მოახდინა.

**ექსტერნები.**

**პეტროგრადი.** 25 ივლ. სახალხო განათლების მინისტრის ნებართვით ექსტერნებს ნება ეძლევათ ეგზამენი დაიჭირონ სიმწიფის ატესტატზე და სხვადასხვა კლასებშიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე როგორც ვაჟების, ისე ქალების სასწავლებლებში.

**ბიუჯეტის კომისიის სხდომა.**

**პეტროგრადი.** 25 ივლ. ბიუჯეტის კომისიის სხდომაზე მიიღეს კანონპროექტი ჯარის სურსათით უზრუნველ საყოფათ ცალკე კომისიის დაარსების შესახებ. კანონპროექტი მიიღეს მთავრობის რედაქციით. ფინანსიურმა კომისიამ განიხილა შემოსავალზე გადასახადის კანონპროექტი და დაადგინა გადასახადიდან გაანთავისუფლონ ქალაქის ბანკები და ლომბარდები და დათანხმდა მთავრობის კანონპროექტზე გადასახადის რაოდენობის შესახებ.

**სახ. სათათბიროს სხდომის გადადება.**

სახ. სათათბიროს სხდომა 27 ივლ. გადადვეს 29 ივლისისთვის, ორშაბათს შესდგება უხუცესთა სხდომა მიმდინარე კითხვების შესახებ. სამშაბათს მოხდება ფარული სხდომა მთავრობის წარმომადგენელთა თანდასწრებით. პროგრესისტი ლვოვი და ოქტომბრისტი არეფიევი ჩაეწერენ მემარცხენე ოქტომბრისტთა ჯგუფში.

**მინისტრზე თავდასხმა.**

**პეტროგრადი.** საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ნერატოვის კაბინეტში შეიჭრა სამინისტროს ყოფილი მოსამსახურე იაკიმანსკი და პატარა ნაჯახის ტრიალით უაზრო სიტყვებს ამბობდა. იაკიმანსკის ნაჯახი წაართვეს და დამნაშავე პოლიციას გადასცეს. იაკიმანსკი შეშლილის შთაბეჭდილებას სტოვებს.

**უმაღლეს სასწავლებლებში.**

**პეტროგრადი.** აგვისტოში ჯარში გაწვევის გამო, მინისტრმა წინადადება მისცა უმაღ. ტეხნიკური სასწ. დირექტორებს, ატესტატების კონკურსი დაამთავრონ 1 აგვისტოსთვის და 7 აგვისტოს ჯარში გასაწვევ სტუდენტებს დაუყონებლივ მისცენ მოწმობა, რომ ისინი სტუდენტებათ არიან ჩარიცხული.

სტუდენტებმა ეს მოწმობა უნდა წარუდგინონ სამხედრო საკრებულოს არა უგვიანეს 5 აგვისტოისა, ანალოგიური განკარგულება გამოსცა სავაჭრო სამინისტრომაც.

**გემის ჩაძირვა.**

**კოპენჰაგენი.** 25 ივლ. დანიის შხუნა „გონოსმილი" გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ჩრდილო ზღვაში.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 25 ივლ. არტუაში, სუშესთან არტილერიის ბრძოლაა, აგრეთვე როლენკურთან და უაზსა და ენს შუა ნუვრონის მაღლობზე. არგონში გერმანელებმა ორჯერ მოიტანეს იერიში 213 მტრის მაღლობთან, მაგრამ მოვიგერიეთ ნაღმის აფეთქების შემდეგ მტერმა შესძლო ჩვენი სანგრის დაკავება, მაგრამ შემდეგ აქედან გავდენეთ. აპრემონის ტყეში სროლაა. ვოგეზში მტერმა არა ერთხელ დაუშინა ცეცხლი ჩვენ პოზიციებს, ლენჟთან და შრაცმენელესთან. დღის ორ საათზე მტერმა იერიში მოიტანა შრაცმენელესთან გონეტის გზაზე. იერიში მოვიგერიეთ დღის ბოლოსაც მტრის იერიში მოვიგერეთ.

**პურის რეკვიზიცია.**

**პარიზი.** 25 ივლ. დეპუტატთა პალატამ ხმის უმეტესობით მიიღო მთავრობის კანონ პროექტი პურის შესყიდვის შესახებ.

**ს ე რ ბ ი ა.**

**ნიში.** 25 ივლ. მოკავშირეთა წინადადების გამო მემკვიდრის ალექსანდრეს თავჯდომარეობით მოხდა მინისტრთა საბჭოს კრება. პასუხის შინაარსი ჯერ არ იციან. სკუპშჩინას მოიწვევენ სამ აგვისტოს.

**გემების ჩაძირვა.**

**ლონდონი.** 25 ივლ. ლოიდის ცნობით ჩაძირულია ოთხი მეთევზეა გემი, კომანდა გადარჩა.

**ი ა პ ო ნ ი ა.**

**ტოკიო.** 25 ივლ. ოკუმამ გადადგომის თხოვნა უკან წაიღო. გარეშე საქმეთა, სამხედრო და ფინანსის მინისტრები გადადგომას მოითხოვენ. მათ ახალი მინისტრებით შესცვლიან.

**საბერძნეთი.**

**ათინა.** 25 ივლ. ოფიც. წყაროებიდან ირწმუნებიან, რომ საბერძნეთი პროტესტს განაცხადებს ბულგარეთის სასარგებლოთ რაიმე ტერიტორიის დათმობის შესახებ.

**ჩერნოგორია.**

**ცეტინიე.** 24 ივლ. გრახოვოან მტერმა უშედეგოთ ესროლა ჩვენ პოზიციებს. მტრის ჰაეროპლანმა ოთხი ყუმბარა ჩამოყარა გროხოვში.

**სასულიერო უწყებაში.**

**პეტროგრადი.** 24. ივლ. მინისტრის ახალი განკარგულების გამო, რადგანაც სემინარიელებს უფლება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა, უწმ. სინოდმა დაადგინა: მიეცეს სასულიერო აკადემიებს უფლება პირველ აგვისტომდი სტუდენტებათ ჩარიცხოს უეგზამენოთ ყველა სინოდის ხარჯით გაგზავნილი სემინარიელები და სასულიერო სემინარიის ყველა სტუდენტები, აგრეთვე, ვისაც უმაღლესი სასწავლებელი გაუთავებიათ ყაზანის აკადემიის სამისიონერო განყოფილებაზე მიიღონ აგრეთვე ყველა მეორე ხარისხით კურსდამთავრებული სემინარიელნი ეპარქიალური უფროსების რეკომენდაციით.

## ჟურნალ გაზეთებიდან.

**რუსების დაჭრილი საფრანგეთის ფრონტზე.**

უკანასკნელ ბრძოლის დროს სასიკვდილოთ დაიჭრა ა. ტესლიცკი.

დაჭრილია აგრეთვე მ. გორკის ვაჟი ზ. ა. პეშკოვი, რომელსაც მოსჭრეს ხელი, დააჯილდოეს სამხედრო მედლით.

**„ბერლინ. ტაგებლატი" სახელმწიფო სათათბიროს მოწვევაზე.**

„ბერლ. ტაგ."-ტი ირონიულ კილოთი სწერს: „სახელმწიფო სათათბიროს სესიის გახსნის დროს, ჩვენ დავინახავთ ტიპიურს რუსის სურათს. მთავრობა და სათათბირო, მიუხედავათ დიდი უთანხმოებისა შინაურ პოლიტიკაში, გამოიჩენს ქვეყნისა და საზღვარ გარეთის წინაშე სრულს სოლიდარობას, რომ ყოველი საშუალებით დაამარცხონ მტერი". მთავრობა კმაყოფილი იქნება გაუყოს პასუხისმგებლობა სათათბიროს, რომელსაც, თავის სურვილით გაუწვდია ხელი საერთო მუშაობისათვის.

„გ. ვ.".

**კათოლიკოსის ტელეგრამა შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მიმართ.**

სომხების კათოლიკოსმა შეერთებულ შტატების პრეზიდენტს შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა:

ბატონო პრეზიდენტო, თანახმათ ჩემს ყურამდე მოსულ ხმებისა მტკიცდება განცხადება, ოსმალეთის მთავრობის სიმხეცისა ჩემი სამწყსოს მიმართ. ეგ ბოროტმოქმედება მაიძულებს მივმართო ხელმეორეთ თქვენ აღმატებულებას, და თქვენთან ერთათ კეთილშობილ გრძნობას დიდებული ამერიკის ერისას, თხოვნით, რომ აღიმაღლოთ ხმა კაცთმოყვარეობისა და საერთო ქრისტიანული სარწმუნოებისათვის, შესწყვიტეს სიმხეცე და სისხლის ღვრა სომხებისა ოსმალეთში.

**რიგა.** ქვემო კურლანდიაში გერმანელები გაცხარებული მუშაობენ რუსებისგან გაფუჭებულ ხიდების შესაკეთებლათ, დამწვარ სადგურებზე ბანაკებს სდგამენ. ახდენენ აგრეთვე პილენძეულობის რეკვიზიციას.

**კოპენჰაგენი.** ბელგიის ჯარი საზამთრო კამპანიისათვის ეწზადება, სეკტემბერში ბელგიის არმიას 27000 კაცს მიუმატებენ.

**ბუქარესტი.** კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, ევროპიულ უბანში ცეცხლის გაჩენამ 50 სახლი გადასწვა.

**სოფია.** საიდუმლო კაბინეტის უფროსმა დობრივიჩმა დღეს მიიღო ავსტრო უნგრეთის ელჩი ტარნოვსკი.

**სოლუნი.** კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ 16 ივლისს სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასაჯა მიუსაჯა ბერძენთა ეპისკოპოზს პერს, ანტიოსმალური მიტინგის გამართვისათვის.

საბედნიეროთ ეპისკოპოზი ოსმალეთში არ იმყოფება. ნ. ს.

**ათინა.** რუსის ჰაეროპლანმა კონსტანტინოპოლში რაოდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო, რომლითაც დიდათ დააზიანა მუნიციპალური საბჭოს შენობა სკუტარში და პერის მიდამოებში.

**ვარშავა.** ვარშავაში მიმავალი ამათ იფიქრებს, რომ იქ შიში და მღელვარება ნახოს, ქალაქში სრული მშვიდობიანობა სუფევს. ერთი წლის ომმა შეაჩვია მცხოვრები გულგრილათ შეხვედროდა ახალ განსაცდელს. ამდენმა ტანჯვამ საზოგადოებაში მოქალაქობრივი და პასუხისმგებლობის გრძნობა გააძლიერა. პრესსა მოუწოდებს მცხოვრებს, რომ დარჩენ თავიანთ ადგილზე და ბაინზე და ასეთს მოწოდებას თანაგრძნობით ხვდება ხალხი. გარბის მხოლოდ უმცირესობა, განსაკუთრებით არისტოკრატები. საყურადღებოა, რომ გაქცეულებს თვითონვე სცხვენიათ და სცდილობენ როგორმე შეუმჩნევლათ გაძვრენ. გაქცეულთა სახელების გამოქვეყნება იწვევს მწარე დაცინვას.

ეხლა ხან სწერდენ: ბარონი X დასასვენებლათ წავიდა. მეორე დღეს ერთი ვარშავის გაზეთი ასეთს შენიშვნას უკეთებდა ამ ცნობას: „ჩვენგან მოხდენილი ცნობით, ბარონს არავითარი მუდმივი სამსახური არა ჰქონია და არავითარ თანამდებობას არ ასრულებდა. ამისათვის საყურადღებოა ვიცოდეთ ვისგან მიიღო ბარონმა „ოტპუსკი"?

## სასკოლო კომიტეტის სხდომა.

შაბათს, 25 ივლისს, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის სასკოლო კომიტეტის სხდომა მოხდა. კრება მოწვეული იყო ი. ცინცაძის გიმნაზიიდან დათხოვნის საკითხის გამოსარკვევად.

დაესწრნენ თავმჯდომარე კომიტეტისა თავადი დ. ო. ნიჟარაძე და წევრნი იმავე კომიტეტისა: თავადი მექი ფცლავა, თავ. დავით მიქელაძე, სპირ. ჯირჯიკია, დეკ. მდივანი და

## ღელვილ ზღვაზე.

მე ნავს ვაცურებ მღელვარე ზღვაზე;
ტალღები ჩემს ნავს ეხეთქებიან:
უნდათ, რომ მომსპონ, გამანადგურონ...
გაშმაგებულნი ყალყზე დგებიან.
და—ჰა, შეცურდა ნავი ტალღებში;
ვხედავ: ფუჭია შიში და ძრწოლა;
წარსულში ლოცვით განაცრუები
მივენდევ ნიჩაბს... ვარჩიე ბრძოლა!

არ ვიცი—მე ზღვა საით გამტყორცნის,
ან რას მიქადის მე მომავალი;
ზღვა სასტიკია და ულმობელი:
მას უშხვერპლნია მსხვერპლი მრავალი...
მაგრამ მე მაინც უკან არ ვიხევ,
არ ვდრკები და ნავს სისხლით ვაპკურებ;
მწამს, რომ მივაღწევ მალე ნავთსადგურს,—
სანატრელ ნაპირს შორით გავყურებ.
დე, ზღვამ იმქუხროს: აზრს ვერ შემიცვლის
ეგ დაუდგრომელ ტალღათა სრბოლა;
ანუ სიკვდილი, ან გამარჯვება!
მივენდევ ნიჩაბს... ავსტეხე ბრძოლა...
და ნავს ვაცურებ მე ღელვილ ზღვაზე
წარსულში ლოცვით განაცრუები...
...ვიბრძვი: გზას ვკაფავ, გზას მომავლისკენ!
ტალღათა ჩოჩქოლს არ ვეპუები.

ქ. ქუთაისი.

**ს. მუსერი.**

## გატეხილი პიროვნება

(აკაკის სამარადისო ხსოვნას).

„რადგანაც სამარადისო ადგილთან დაკავშირებულია ჩემი გულისათვის ძლიერ ძვირფასი მოგონებანი, ამიტომ ვითხოვ, რომ, როდესაც ღმერთი ისურვებს ჩემს მიხმობას, მიმაბარონ მიწას ჩემი სამოსახლო კარის ეკლესიის გვერდით ს. სხვიტორში.

**აკაკის ანდერძი.**

„თუ ხალხის სურვილი იქნება, წინააღმდეგი არა ვარ სხვაგან დამმარხონ".

(იხ. თემი 206).

ფილოსოფოსი ჰეგელი ამბობდა, რომ ყოველი ერი მსოფლიოში, მატარებელია რაიმე იდეისა, რომელსაც იგი ახორციელებს თვის ისტორიულ მსვლელობაში. თუ ეს თქმულება ჰეგელისა არ არის დამყარებული, მტკიცე რეალურ-ლოგიურ კანონებზე, ერთგვარს ისტორიულ ჭეშმარიტებას მაინც შეიცავს. ამ თვალსაზრისით, ქართველი ერის ისტორია თვის მსვლელობაში, მხოლოდ-და მძაფრი ტანჯვის იდეას თუ ახორციელებს. XIX ს. სივრცეზე კი, იგი ტანჯვა უფრო მეტ მძაფრ ტრაგიულ განცდათ იცვლება. ძველ დამონავებულ საქართველოში ინდივიდუალური ფსიხიკა არა სჩანდა, აქ პიროვნება გათქვეფილი იყო ეროვნულ ტრაგედიაში, არ ისმოდა მისი ცრემლთა ფრქვევა, განცდა მისი სისხლით მორწყულ მიწაზე იყო გართხმული. მთელი საუკუნოების განმავლობაში, მხოლოდ აქა-იქ ოდნავ თუ ამოანათებდა რომელიმე ძლიერი პიროვნება, მაგრამ მყისვე სახე მისი შავი ბურუსით იმოსებოდა და ასე ინთქებოდა პიროვნება საიდუმლოებით მოცულ ისტორიულ მსვლელობაში.

მე-XIX ს. ქართველი ერის ტრაგედია კი, უმთავრესად რამოდენიმე ძლიერ პიროვნებას ატყდება თავს და აქ მათი ტრაგედია მარტო პიროვნულ ინდივიდუალურ ელფერს კი არ ატარებენ, არამედ მთელი ერის უხმო ტანჯვას იტევენ თვის ფსიხიკაში. თუ ებრაელთა ერმა განაწამებმა ამ ქვეყნიური ტანჯვა-ვაებით, თითქმის უარყო ეს ემპირიული მსოფლიო და რელიგიურ ექსტაზში, დიადი ეკლეზიასტის პირით ამცნო ქვეყნიერებას „ამაოება და ყოველივე ამაოა".

ქართველი ერი, მთელ ამ ტრაგედიაში მაინც შეუდრეკლათ სდგას ცივ მიწაზე და შორეული იმედით აღნავსე, ებრძვის ცხოვრების ვაებას, მხოლოდღა ცხოვრებითვე და არა მისტიური იდეებით. იგი ტანჯულია, მაგრამ ცხოვრებას მაინც არ შორდება და შორს შეჰკურებს ღრმა იმედით აღსავსე, მოკიაფე ვარსკვლავს თვისი ბედისას. ქართველის პიროვნებაც სწორედ აქ იყოფა ორ ნაწილად, იგი თუმცა სცხოვრობს ამ ემპირიული სიკოცხლით, მაგრამ თვისი მისწრაფებით, იგი შორეულ ბურუსით მოცულ საიდუმლოებაში სთხზავს გვირგვინს თვისი მომავლისას.

ეს პიროვნების გაყოფა, ყველაზე უფრო მძაფრად იგრძნო იმ მოხუცმა, ვინც ყველაზე უფრო მეტი სიმბოლოა ქართველი ერისა. ბუნებით ძლიერი ინდივიდუალისტი, ღრმა მარადიული იდეებით დატვირთული მგოსანი, გამოდის ცხოვრების ველზე; მაგრამ შავი ზეწარი, თავს ეფარება მის მშობელ ერს. მგოსნის ძლიერი სული იხუთება და იგიც გააფთრებული ლომივით, რომ შეახიოს საიდუმლოებას ზეწარი და შარავანდედით შემოსოს ტანჯული სახე ქართველი ერისა; მგოსანი ცრემლში ლესავს ნაღველს და თვის წკრიალა ჩანგს, სიმების მაგივრად ნერვებს აბავს და ყოველი სიმებზე ხელთ ჩამოკვრა საზარელ გმინვას გამოსცემს, მაგრამ ძლიერი პიროვნება მაინც არ ეცემა სულით და უფრო და უფრო გამობრძმედილი, მხნედ შეჰყურებს მომავალს. შავი ნაღველი, ტკბილ შარბათად იცვლება და სევდიანი ჩანგის მელოდიურ ხმას, დაფისა და ნაღარის ყიჟინი სცვლის და მგოსანი გამოდის, როგორც ნამდვილი მებრძოლი და იმედებით აღსავსე ვაჟკაცი.

მგოსნის საყვარელ გმირებში, ყველაზე უფრო, ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ჭაღარით მოსილი სახე თორნიკე ერისთავისა; ეს მოხუცი, არა თუ მარტო რელიგიური მისწრაფებით არის აღსავსე, არამედ ცხოვრებაში ნამდვილი მებრძოლი გმირიც არის. იგი ორ სახიანი იანუსია, რომელსაც ცალი ფეხი ამ ემპირიულ ცხოვრებაში უდგია, თვისი იდეებით კი მარადიულ სამყაროს უერთდება. თორნიკე ერისთავმა, მთელი თავისი სიყმაწვილე, სამშობლოს დაცვასა და სამსახურში გაატარა და მხოლოდღა, როცა მისი წვერი შეიმოსა ჭაღარით იგი შორდება ამ ქვეყანას და ათონის მთის მწვერვალიდან აღავლენს ლოცვას შემოქმედისადმი; მას სურს, რომ ჩაექსოვოს მარადისობას, მაგრამ... ცხოვრების დაუსრულებელი ტანჯვა, კვლავ ითხოვს მოხუცს და იგიც ცხოვრებას უბრუნდება... გატყდა მთლიანი პიროვნება. თორნიკე ეძიებს მყუდროებას, რომ ტანჯული და ღელვილი სული დააყუჩოს რელიგიურ ექსტაზში და მით უკვდავ ჰყოს თვისი ინდივიდუალობა; მაგრამ ამ ქვეყნიური, ემპირიული ცხოვრება, კვლავ ითხოვს მას და იგიც გამოდის, როგორც მებრძოლი გმირი.

თორ. ერისთავი ნამდვილი სიმბოლოა თვით მისი შემოქმედისა. ძლიერი ინდივიდუალისტი მგოსანი, თუმც ინით ილესავს ჭაღარას და გააფრებული ლომობს, რომ გასტეხოს ვიწრო ეროვნული რკალი, მაგრამ ამაოდ... წმინდა ხატის წინაშე წამდგარ მგოსანს, მაინც თვისი მშობელი ერის გმინვა უხმატკბილებს მელოდიურ ლოცვას. მგოსნის ემპირიული სახე თან და თან დნებოდა ვით ანთებული პატრუქი და მისი ქნარი უკანასკნელ წუთამდე უყიოდა ქართველ გმირს. ყივილი იგი, შორს იფანტებოდა საქართველოს მიდამოებში და იწოდა ქართველის გული, როს ესმოდა მელოდიური სიმღერა გრძნეული მგოსნისა, და ივსებოდა ვაშკაცური სიმტკიცით, როს გაისმოდა ძლიერი ხმა ბუკისა და ნაღარისა. მაგრამ დროთა ტრიალში გაზზარული სახე მგოსნისა თან და თან ტყდებოდა და ჭაღარა მგოსნის ბუკმა და ნაღარამ უკანასკნელად შეჰყვირა ქართველ გმირს. მიჯაჭვულმა ამირანმა კვლავ წამოიწია და გააფთრებულმა მტვრევა დაუწყო საუკუნოებით ნაჭედ ბორკილებს...

შავი ყორანი კი, ლეშით მაძღარი, შორიდგან თავს დაჰფარფატებდა და თავის გულშემზარავ ჩხავილს განაგრძობდა.

მგოსნის პიროვნების ტრაგედია მე-XIX-ს. ანორმალურ ცხოვრებაში უნდა მოვძებნოთ. თუ ძველმა რუს-

ვარ. ჭილაძე. კრებას განმარტებას აძლევდა გიმნაზიის დირექტორი ი. ოცხელი.

კამათში ყველა წევრებმა მიიღო მონაწილეობა. სასკოლო კომიტეტმა დაადგინა ეს საქმე დაწვრილებით იქნას გამოძიებული. გამოძიება მიენდო კომისიას, რომელშიაც შედიან: თავ. მ. ფალავა, სპ. ჯორჯიკია და ვარ. ჭილაძე. გამოძიება შეეხება არა მარტო ცინცაძის ინციდენტს, არამედ საზოგადო წესსაც, რომელიც მეფობს ამ ჟამად გიმნაზიაში. ასეთი დადგენილება შედეგია იმ გარემოებისა, რომ კრებაზედ გამოირკვა, რომ ზოგიერთი დადგენილებანი კომიტეტისა აქამდის ასრულებული არ არის ინსპექციისაგან.

## რედაქციისაგან.

გუშინ ქუთაისში გამოვიდა „განახლებული“ გაზეთი „იმერეთი“. იმ თანამშრომლების გვარებიდან, რომლებიც აწერენ ხელს გაზეთში მოთავსებულ წერილებს და იმ შინაარსიდან, რომელსაც შეიცავენ ეს წერილები, მკითხველი მიხვდება, რა მიზანს ემსახურება ის. გაზეთი არავითარ მიმართულებას არ ეკუთვნის და იგი გამოცემაა ძმათა ოცხელების სავაჭრო სახლისა და მისი ერთად ერთი დანიშნულებაა ბ. ოცხელის პირად ინტერესების დაცვა. ასეთ გაზეთს ყველა ხალხში და ყველა ენაზედ ყვითელი გაზეთი ჰქვიან და ჩვენ მხოლოდ გვაოცებს თავხედობა ქართული გიმნაზიის დირექტორის ბ. ოცხელისა, რომელიც ასე აშკარად და მოურიდებლათ აარსებს გაზეთს, მხოლოდ იმ ერთი დანიშნულებით, რომ თავისი პირადობა დაიცვას.

ასეთი სამწუხარო მოვლენა ქართულ პრესაში ჩვენ პირველ მაგალითად მიგვაჩნია და ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენი ღრმა მწუხარება და აღშფოთება გამოვსთქვათ საზოგადოებრივ აზრის და საზოგადოების ასე აბუჩად აგდებისთვის. ამიტომ გაზეთ „იმერეთს“ არსებითად ჩვენ პასუხს არ გავცემთ.

სამაგიეროთ ვაცხადებთ შემდეგს. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომრიდან მკითხველი გაიგებს, რომ ქართულ გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტის და იქ გამეფებულ ურიგო წესების გამოსარკვევად უკვე დანიშნულია საგანგებო კომისია. რედაქცია მოითხოვს, რომ, რადგანაც იგია მთავარი ბრალმდებელი ამ საქმეში, რედაქცია მიწვეულ იქნას კომისიის სხდომებზედ. ჩვენ უკვე განვაცხადეთ და ახლაც ვამბობთ, რომ რედაქციას ხელში აქვს აუარებელი მასალა, რომელიც ნათლათ ჰყოფენ გიმნაზიის კედლებში გამეფებულ წესრიგს. ჩვენ გვსურს ამ მხრივ დავეხმაროთ კომისიას და მივაწოდოთ ის მასალა, რომელიც უჩვენოთ, შესაძლებელია, უცნობი და გამოურკვეველი დარჩეს კომისიისთვის. ვსთხოვთ რა ამას კომისიას, ჩვენ ვალათ ვთვლით ისიც განვაცხადოთ, რომ თუ ჩვენი კანონიერი სურვილი არ იქნება დაკმაყოფილებული, ისღა დაგვრჩება, უკიდურეს საშუალებას მივმართოთ და პრესის შემწეობით ავხადოთ ფარდა, ყველა იმას, რაც ჯერჯერობით ფართო საზოგადოებისთვის დაფარულია. ჩვენი პასუხიც ი. ოცხელის თავის მართლებაზედ ამ კომისიაში წამოყენებული ჩვენი ბრალდება იქნება.

## ბატონ ოცხელის სიცრუის ნიმუშები.

საპასუხოდ ბ ნ ოცხელის წერილის იმ ადგილისა, სადაც ის ცუდათ მიხსენიებს მე, როგორც ჩემი თხზულების გამომცემელს, რომელსაც ხელის მომწერთაგან ფულები ამილია და თხზულება კი ყოვლის უმიზეზოთ ჯერაც გამოცემული არ არის და ის კი ბ. იოსებ ოცხელი— როგორც გამომცემელი შიო მღვიმელის თხზულებათა ყოველ კრიტიკის გარეშე სდგას, რადგანაც ავტორს წინდაწინ მისცა 500 მანეთი ჰონორარი, ჩვენ, მოგვყავს მკითხველის საინტერესოთ და ბ. ოცხელის სიცრუეში დასაჭერათ წერილი თვით შიო მღვიმელისა:

**ძმაო კოზა!**

იოსებ ოცხელი იყო აქა. შემპირდა თიბათვის თხუთმეტს გამოგიგზავნი ფულსაო. ვზივარ და ველი. ისიც მითხრა, კოზას მისწერე წერილით, რომ მალ მალე გამახსენოსო და ძალა დამატანოსო. აბა შენ იცი როგორც მიხვალ და გამოაგზავნინებ ფულსა. ათ თუმანს შემპირდა, იქნება მეტი გააბედინო. პირობის ძალით ლექსებში მერგება კიდევ 224 მან. კლიშეებისა 120 მ. ჩვენს პირობას ვადა დეკემბერში გაუვიდა, რაც მერგებოდა სულ მაშინ უნდა ჩაებარებინათ, თუ პირობას რამე ძალა აქვს რას მერჩიან, გამომიგზავნონ ჩემი ოხერი 600 მანეთი. ჯარიმა, მაშ ტყვილად ჩაიწერა „კანტრახტში“! შენს ძმობას ვენაცვალე მალე მომწერე პასუხი ღია ბარათით ფულის შესახებ.

ღვინობისთვის აქეთ მაგათ ჩემთვის აღარაფერი გამოუგზავნიათ.

შენი აბუზული წიწილა შიო მღვიმელი.

19 ივნისი 1915 წელი.

**ძმაო კოზა!**

. . . . .

ჩვენები დუშეთისკენ გავისტუმრე, მე კი ისევ აქა ვარ და შევყურებ მაგათ (ოცხელის) ამ სიცხე პაპანაქებაში. თუ მიგზავნიან, გამომიგზავნონ, თუ არა და რაღას მატყუებენ. თუ კიდევ ამომიყვანეს, სულ ერთბაშათ მოვთხოვ პირობის ძალით. როგორცა ხედავ, მასხარობა ყოფილა ნოტარიუსიც და იქ დაწერილი პირობაც.

პირობა მაგათ დეკემბერშივე დაარღვიეს. *)

შენი შიო მღვიმელი.

8 ივლისი 1915 წელი.

**დაო ბაბო! *)**

. .

დიდ ვალში ჩავცვინდით. მაგ ოცხელებმაც ჩვენ დაგვიბრიყეს. მანდ თქვენ გატყუებენ და აქ ჩვენ წერილის პასუხსაც კი არ გვწერენ. აი, ჩემო კარგო, ასეთია ხალხი: სხვისა ჰერი ლობეს ჩხირიო, ნათქვამია. შენი ჭირიმე შეეხვეწე კოზას მივიდეს და უკანასკნელათ კიდევ მოელაპარაკოს, გავიგოთ მაინც, რაში იჭერენ. ასეთი უზრდელობაც არ თქმულა, პასუხსაც არ იძლევიან. ჩქარა ველი პასუხს და სხვა

ანეტა ქუჩუკაშვილისა.

ბატონი ოცხელი ატყუებს საზოგადოებას, როცა ამბობს 400—500 მან. ერთად მივეციო ბ. მღვიმელს. შარშან თუ შარშან წინ კანტრაქტზე ხელის მოწერის დროს მისცა 150 მან. და დანარჩენს წვრილ წვრილათ აძლევს და დღევანდლამდე ლამის ჯვარს აცვას. კარგი მოწყალებაა!..

**რედ.**

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

ქუთაისის მაზრის სამხედრო საკრებულოს უფროსი მომავალ აგვისტოში გასაწვევ ახალგაზდათა საყურადღებოთ აცხადებს, რომ მათ გამოცხადებისთანავე თან იქონიონ თეთრეულობა და ტანისამოსი. თეთრეულობა უნდა იქნეს ჩაწყობილი ფუთაში და არა ყუთში, რადგანაც ყუთების გადმოტანა მოგზაურობის დროს მეტად სძირს. ახალი ჯარის კაცები მიღებისთანავე გაიგზავნებიან სხვადასხვა ქალაქში.

✦ **ძმური სიტყვა.** კვირას, 26 ივლისს, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას თბილისიდან მოუვიდა 3,000 ცალი ქართული ფურცელი—ალმანახი „**ძმური—სიტყვა**“ და 200 ცალი რუსული „Братское слово“ გაზეთები ორივე კარგათ არის შედგენილი. ახალგაზდა გამყიდველებმა ეს გაზეთები კვირასავე დაირიგეს და საღამომდი გაჰყიდეს. სულ დარიგებული იყო 48 ყულაბი. შეგროვილი ფული ჯერ ნაანგარიშევი არ არის. გაზეთები რომ ყოფილიყო, კიდევ ბევრი გაიყიდებოდა.

✦ ჭიათურიდან გუშინ დაბრუნდა შავი ქვის საბჭოს მთელი შემადგენლობა, რომელიც წასული იყო კრებების გასამართავათ.

✦ 1 აგვისტოდან ქუთაისში გამოდის ყოველ-დღიური გაზეთი რუსულ ენაზე „Кутаисская вѣсть“ მელიქ—ავაკოვის რედაქტორობით.

✦ ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის კრება აგერ მესამეჯერ იყო დანიშნული, მაგრამ არ შესდგა. წევრები მუშაობისადმი დიდ გულცივობას იჩენენ.

✦ **სურსათი.** 23 დან 27 ივლისამდი ქუთაისში შემოიტანეს 18 ვაგონი პურის ფქვილი, 39 ვაგ. სიმინდი, 304 ფუთი შაქარი, 4 ვაგ. შაშა, 3 ვაგ. ქვანახშირი, 3 ვაგ. მარილი, და სხვადასხვა სანოვაგე 5,000 ფუთამდე.

✦ რედაქციამ მიიღო დონლანის მიერ შეთხზური ლექსები და მოთხრობები „**უმადური**“ წიგნი კარგათ არის გამოცემული, შეიცავს 32 გვერდს და ღირს 3 შაურათ.

*) ასე მართალია ბ. ი. ოცხელი ყველაფერში. **რედ.**

*) ეს წერილი მოუვიდა ია ეკალაძის მეუღლეს შიო მღვიმელის მეუღლისაგან. სამწუხაროთ თარიღი არა აქვს.

## ქუთ. ქალაქ. ბიბლიოთეკა.

ბევრი რამ დაწერილა ქუთ. ქალაქ. ბიბლიოთეკაზე, ბევრ დეფექტზე მიუთითებია მკითხველ საზოგადოებას, მაგრამ მის ბატონპატრონთ ჯერ-ჯერობით ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ და ამიტომ ბიბლიოთეკის საქმე ნორმალურათ ვერ მოეწყო. აგერ რამდენიმე თვე გადის და ბიბლიოთეკა არ წარმოებს; ამის ნამდვილი მიზეზი ჩვენ ვერ გაგვიგია. მოსამსახურეებს რომ კითხოთ, პასუხს ლაკონიურათ მოგიჭრიან: „რემონტიაო. ნუ თუ ამ რემონტს დასაწყისი, ან დასასრული არ უჩანს? ამაზედ დაურთეთ უინიციატიობა და სიზარმაცე ბიბლიოთეკის გამგე ქალისა და მისი თანაშემწესი. საზოგადოთ დილით სამკითხველო იღება 9 საათზე, მხედველობაში მაქვს საქმი დღე.

გაზეთის წაკითხვა რომ გინდოდეს ერთი საათი კიდევ უნდა იცადო, შეიძლება მეტი, ვიდრე მობრძანდებოდეს ბიბლიოთეკის გამგე და მისი თანაშემწე, ასეთ ფაქტს ქონდა ადგილი 23 ივლისს სამკითხველოში: სამკითხველო გაიღო 9 საათზე, მხოლოდ გაზეთები შემოიტანეს $10^{1}/_{2}$ მანამდი მკითხველები უსაქმოთ იცდიდენ და ბევრი მათგანი კიდეც წავიდა, რომ დროზე ვერ ეღირსა გაზეთის წაკითხვას. იგივე განმეორდა 24 ივლისსაც.

ვის ედება ამაში ბრალი? რასაკვირველია, ბიბლიოთეკის გამგეს და მის თანაშემწეს, რომ დანიშნულ დროზე არ ასრულებენ თავის მოვალეობას; უთუოდ, ხან გამგემ და ხან თანაშემწემ რეგულიარულათ უნდა დაიგვიანონ, რითაც ფერხდება ბიბლიოთეკის საქმე. მოგახსენებთ: ასეთი დაუდევრობა და საქმის შეფერხება სჩვევია მხოლოდ ქუთ. ქალაქ. ბიბლიოთეკის მესვეურებს, თორემ ნახეთ სხვაგან, როგორის მონდომებით და შრომის მოყვარეობით შველიან კულტურულ საქმეს.

დასასრულ მინდა შევეკითხო ბიბლიოთეკის გამგეს: სატახტო ქალაქს გაზეთები რათ არ მოდის ბიბლიოთეკაში?

**შანი.**

## წიგნაკების გავრცელება სოფლათ.

საქართველოში ყველა ტრაბახს უნდება და მეტს არაფერს. ყველა ბაქიაობს, ყველას სურს რაიმე გაიტანოს, მაგრამ საქმით კი არა კეთდება რა.

არა ერთჯერ და ორჯერ აღძრულა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწესრიგებიათ ბიურო წიგნაკების გამომცემლობისა და აგრეთვე მათი აგენტობისა ქ. ქუთაისში. ბევრმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ საჭიროა დაარსდეს მთავარი საწყობი აქვე ქუთაისში, უნდა იყოს დაქირავებული აგენტები სოფლათ, რომელსაც მთავარი საწყობი მიაწვდიდა წიგნაკებს და ამით, მარტო ინიციატორობით, ევონათ წიგნის გამომცემლობა წინ წავიდოდა. მაგრამ ხმა ხმათ რჩება, საქმით კი არა კეთდება რა.

ჩვენი მწიგნობრობა ხელთ აქვთ ჩაგდებული ისეთ პირებს, როგორც არიან: შ. ხ ბარათოვები და მრავალი სხვა, რომლის წიგნებიც ათასობით იბეჭდება და კიდევაც საღდება, საღდება ისეთი წიგნები, რომელნიც რყვნის საზოგადოებას, ცრუ მორწმუნებას ავრცელებს და ცრუ თეთორიებს ბადებს. მაგალითად, „სიზმრის ახსნა“, რომელიც რამდენიმეჯერ გამოიცა და ათასობითაც დაიბეჭდა, როგორც გავიგე, კიდევ აპირობენ ამავე წიგნის გამოცემას. „დარდანელის აღება“, „გერმანია ღიღინებს“ და კიდევ მრავალი ამათგვარი ხომ ბევრათ ბევრი იბეჭდება. წარმოუდგენელია, როგორი სისწრაფით საღდება ეს წიგნაკები ხალხში. როგორც ამ წიგნაკების გასაღებით აღარ საღდება ისეთი წიგნები, რომელსაც შინაარსი აქვს და მკითხველი საზოგადოების სულიერათ დაკმაყოფილებაც შეუძლია.

ამ ერთი თვის წინათ მე, ამავე სტრიქონების დამწერმა, და სამმა ყმაწვილმა ამხანაგმა პატარ-პატარა წიგნების, ორიგინალური იქნებოდა ის თუ თარგმანი, გამოცემა განვიზრახეთ. ჩვენი სურვილი იყო, გამოგვეცა იმ აზრით, რომ ის გასულიყო ხალხში და დაახლოვებოდა მშრომელ ხალხს; უფრო ჩვენი მიზანი იყო, წიგნაკები სოფელს მოფენოდა, რომელიც ქალაქს დაცილებულია, სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებს მოწყვეტილია. მაგრამ, ამისთვის აგენტი იყო საჭირო, რომელიც უგასამრჯელოთ მსახურებას არ დაგიდევდათ. ჩვენ გვინდოდა ცრთ ფორმიანი წიგნაკის გამოცემა, რომელსაც 32 გვერდი იქნებოდა და 3X4, რომელიც დაჯდებოდა ერთი კაპიკი, გასაღდებოდა ორ-ორ კაპიკათ და წიგნაკის გამოცემასაც საკმაოთ დააკმაყოფილებდა. მაგრამ საქმე შემდეგმა გარემოებამ შეაფერხა; თვით იმათ, რომელთაც მე მომმართეს, იცოდენ რომ მე მქონდა გამოცემული ორი წიგნაკი, თითოეული 2400 ცალამდი, მათ ეგონათ, რომ ისინი ყველა გასაღებული იქნებოდა და მეც ამ საქმეში დახელოვნებული. მაგრამ მოსტყუვდენ, მე რომ წიგნაკები გამოვეცი, № 1 მხოლოდ აგენტებთან საკომისიოთ მქონდა დარიგებული და № 2 კი შინ მქონდა გაჩერებული მოელებოდა, რომ ჩვენში თითოეულმა დახმარება იცოდეს და საზოგადო ინტერესებს განურჩევლათ ემსახურებოდეს. ყველაზე უპირველესი ძალა წიგნაკების გასაღებაში აქვთ სოფლის მასწავლებლებს და მმ. მღვდლებს. სოფლის მასწავლებლები თავიანთ მოწაფეებს სწავლა-განათლების მნიშვნელობას უნდა უხსნიდენ, ურომლისოდაც ადამიანის ცხოვრებას წუთისოფელი სტანჯავს, უნდა გააცნოს ყოველივე ის ბოროტება, რომელიც მხოლოდ უმეცრებითა და უსწავლელობით იბადება. ყოველივე ასეთ განმარტების შემდეგ ბავშვი იმ პატარა წიგნაკს სიხარულით წაიკითხავს, რომელიც 32 გვერდს შეიცავს და ორი თუ სამი კაპიკი ეღირება. აგრეთივე სამსახურის გაწევა მღვდლებსაც შეუძლიათ, იმ სულიერ მამებს, რომელნიც თავიანთ მრევლს თავში უდგანან და აგონებენ ქრისტეს მცნებას: კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას და თავისუფლებას. ეს მცნება იმდენათ მიუწდომელია, იმდენათ მიუკარებელი, რომ ძნელათ თუ შესძლებს ისეთი ადამიანი, რომელსაც არავითარი სწავლა არ აქვს მიღებული. რომ უფრო ფეხი მოიდგას სწავლამ სოფლათ, მმ. მღვდლების მოვალეობაა კვირა-უქმე დღე სწავლა-აღზრდაზე, და ცხოვრების მაგალითებზე ქადაგება. ბევრჯერ მსმენია სოფელი გლეხისგან, რომ ის დატანჯულია უსწავლელობით, „ბოროტება, რომელიც ჩვენში სუფევს, სულ გაუნათლებლობის ბრალია. ბატონ პატრონი ჩვენ ახალგაზდებს რომ არა ყავთ, ამიტომ არის რომ ისინი დროს ქეიფობასა და კარტში ატარებენო.

— ოხ! ერთი რომ გამაკონა, რასაც ეს განათლებული ადამიანი წერს, სწორეთ მაშინ ავშენდებიო“. აი სურვილი, რომელიც ებადება გლეხს კვირა-უქმე დღეს, მაგრამ ამავე სურვილს თვითვე გულში კლავს, რადგანაც გამგონი არა ყავს. ყოველი ბავში, რომელიც უნდა აიყვანოთ სოფლის სკოლაში, მას დიდ წიგნს ვერას გზით ვერ წააკითხებთ, სადაც აზრი უფრო ძნელი გასაგებია, ბავშს აინტერესებს წიგნაკი პატარ-პატარა წინადადებებით დაწერილი, რომლის შინაარსის გაგებაც ძალა დაუტანებლათ შეუძლია. ამ პატარ-პატარა წიგნაკების კითხვით მას ნელნელა მეხსიერება უვითარდება, ეძლევა ხალისი უფრო მოზდილ წიგნის წაკითხვისა და მისი შინაარსით დატკბობის.

მაშ ასე, პირველი საფეხური, რომლიდანაც სოფლის ბავში წიგნის კითხვას ეჩვევა, არის პატარა წიგნაკები, რომლის შინაარსიც იოლი გასაგებია. მარტო ბაქიობა ვერას გვიშველის, დროა ყოველმა ერთგულმა საქმეს ხელი მოკიდოს და ხალხში, ფართო მასაში სწავლა-განათლება შეიტანოს, ურომლისოდაც ქართველი ერი დიად ტანჯვას განიცდის, დრო არის თვით სოფლის მღვდლებმა და მასწავლებლებმა ამ საქმეზე იზრუნონ, რომელი, რომლის დარიგებასაც მანამ არ ვაპირებდი, სანამ პირველი არ გასაღდებოდა. აქამდის უკვე ერთი წელი გავიდა და ჩემი დანახარჯის ჯერ არაფერი არ ამილია. არც ერთ აგენტს, რომელიც წიგნაკს ყიდდა საკომისიოთ, ჩემთვის არაფერი გადმოუცია და მე მის მალაზიას ვერ გავჩხრეკდი. ჩვენში კიდევ ბევრია შეუგნებელი, რომელიც საზოგადო ინტერესს არას დაეძებს და მხოლოდ პირად „მეს“ ემსახურება. ავუხსენი რა ასეთი მდგომარეობა ჩემს ამხანაგთ, ყურები სცქვიტეს და გაშტერებული შემომაჩერდენ, მათ

---

თვლის საქართველომ თვისი გენიალური სული, ბარათაშვილის ფაფარ აყრილ მერანით დააგვირგვინა; ახალმა საქართველომ ბარათაშვილის მერანს ლაგამი ცოტა მოუჭირა და ზოგად-კაცობრიულ და ინდივიდუალურ საკითხებით აღჭურვილი სული ცივ დედამიწის პირზე განერთხო.

**უპიროვნო საქართველო,** აი რა შეუძლია უწოდოს მომავალმა ქართველმა მე-XIX ს. საქართველოს. მთლიანი დამოუკიდებელი პიროვნების ღაღადისი გარდა ბარათაშვილისა არა სჩანს, მაგრამ ისიც ვერ არის ფართედ გაშლილი, ფრთა მასაც შეკვეცილი აქვს. ილია, ძლიერი ნების და ფხიზელი გონების პიროვნება იყო; მას სურდა, არა თუ მარტო საქართველოს ეროვნული სახე აღედგინა, არამედ თვისი პიროვნებაც ფართედ გაეშალა, მისი სიტყვა, ხშირად ძლიერ მოურიდებელი და დამოუკიდებელი იყო; იგი ჰქუხდა ვით ქაფ-მორეული თერგი და რჩებოდა მაინც გამძვინვარებული ვით ძლიერი მყინვარი, მაგრამ მონობას ჩვეული, უპიროვნო საქართველო, აიტანდა განა, ძლიერ და მეტყველ პიროვნებას? მან გასტეხა ძლიერი სიტყვა მგოსნისა მხოლოდ ველურად, მისი დასუსტებული სხეული, ლაჩრულად დასცა წიწამურის ველზე ისე, რომ ძლიერმა ნებამ შეტევაც კი ვერ მოასწრო.

ილიამ და აკაკიმ შექმნეს ეროვნული სახე ჩვენი, დროთა ტრიალში დამტვრეული, მაგრამ თვისი ინდივიდუალური პიროვნება კი დაჰკარგეს, მათ მოგვცეს ეროვნული სახე, თვისი პიროვნების უარყოფით. ილია, პიროვნების შენარჩუნებისთვის ბრძოლის ველზე დაეცა ვერაგულად, აკაკის სახე კი, სულ მუდამ გამტყდარი გამოიყურებოდა, მან ვერ უარყო სავსებით თვისი სახე, რადგან პიროვნების სავსებით უარყოფა ეს მისი სამარადისოთ გაქრობა არის; ვერც თუ მთლიანი სახე იხილა განმტკიცებული და ეს ტრაგედია საზარელი თან ჩაიტანა სამარეს.

გატეხილი პიროვნების უკანასკნელი აკკორდი, ეს მგოსნის ანდერძში გამოიხატა, ამ რამოდენიმე სიტყვაში ის სახე გამოიყურება, მთელ თვის სიცოცხლეში ტრაგიულად რომ ატარებდა. მგოსანს სურს იქ დაიმარხოს, სადაც მისი ძვირფასი მოგონებანი არის შეკავშირებული, მაგრამ... თუ ხალხის სურვილი იქნება, წინააღმდეგი არა ვარ სხვაგან დამმარხეთო. მგოსნის ტრაგედია დასრულდა. ჩამოშორდა მუდამ მებრძოლი ემპირიული სახე და გრძნეული სული წარვიდა მარადისობის წიაღში.

საჩხერე-სხვიტორის მცხოვრებმა თვისი სურვილი უხმოდ გულში ჩაიკლეს და ძლიერმა მოდინახემ თვისი თავი მთაწმინდის საიდუმლოებასთან მოხარა და სამარადისოთ ჩააბარა მას თვისი სიმბოლო.

ისტორიას ახსოვს ერთი დამაფიქრებელი შემთხვევა, როცა ძველ ელლადაში შვიდი ქალაქი ერთმანეთს ეცილებოდა, თუ რომელ მათგანს ხვდებოდა წილად დიად ჰომიროსის სამშობლოდ წოდებულ იყო; დღეს კი, ეს ცილობა გულახდილათ არ მოხდა, მაგრამ მოდინახის საიდუმლოებით მოცილ ძლიერებაში თითქოს კვლავ გაისმის ის იდუმალი საყვედური, ძველ ელლინთა მშვენიერ ჰომიროსის გარეშემო რომ ასტყდა.

**მიხ. აბრამიშვილი.**

არ სჯეროდათ, რომ დაწერა უფრო ადვილია ვიდრე მისი გამოცემა და საზოგადოებაში გაშლება.

ყოველივე ამას, ბატონებო, ბოლოც მათ უპირველესს სამსახურს შეადგენს.

ინგლისის დიდებულმა ქალმა ჩისგოლმმა ყოველივე საქმეს გაკეთების შემდეგს მიაწერა: „მე იმ დასკვნამდი მივედი, რომ ვერც ერთი საქმე წინ ვერ დაგვიდგება, თუ მას ხელი პირდაპირ არ მოვკიდეთ და ტყუილ უბრალო ლაპარაკს გავყევით“ და, მართალიც არის. საქმე, საქმე, ლათაიობა ვერას მოგვიტანს.

**სიმ. წერეთელი.**

## დაბა-სოფელი.

**დ. ონი** (რაჭის მაზრა). დროებით შემიხვდა ამ დაბაში შეჩერება, საიდანაც არ შემიძლია აღვნიშნო ამ დაბის დღევანდელი მდგომარეობა.

ეს დაბა გაშენებულია სწორ და ვაკე ადგილზე, სადაც გვერდით მას ჩამოურბის მდ. რიონი. ამ დაბაში ცხოვრობენ: ებრაელები, სომხები და ქართველები. სომხების უმეტესი ნაწილი ვაჭრობას მისდევს. სწავლა განათლების მხრით ეს დაბა არ არის ჩამორჩენილი სხვა დაბებზე. აქ არსებობს სხვა და სხვა პირველ-დაწყებით სასწავლებელი, უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, სამკითხველო, ბანკი, წვრილი კრედიტის ამხანაგობა, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, საავათმყოფო და სხვა. კოოპერატივის დაარსებას დაბა ძლიერ საჭიროებს.

როგორც გადმომცეს, ყოფილა აქ კოოპერატივის შესახებ ლაპარაკი. მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩაჩუმებულია. როგორც დაბას ეტყობა, წინათ მას ყოლია ბევრი გულ-შემატკივარი პირი, მუშა, ინტელიგენცია, რომელთაც უზრუნიათ დაბის კულტურულ წინმსვლელობისთვის, მაგრამ, საუბედუროთ, დღეს ადგილობრივი ინტელიგენცია, რომლის რიცხვი საკმაოა, არავითარ კულტურულ წინმსვლელობისათვის არ ზრუნავს. ისინი უფრო პირად გასართობებს მისდევენ და დროს ტყუილა-უბრალოთ ხარჯვენ.

აქაური წიგნთ-საცავ-სამკითხველო მშვენიერი შენობაშია მოთავსებული და შესაფერ ადგილსაც სამკითხველოს მოდის სხვადასხვა ქართული ჟურნალ-გაზეთები და არის მორთული ჩვენი მწერლების სურათებით. მიუხედავათ ამისა სამკითხველოში ძალიან ნაკლებათ დაიარებიან და ეს არ შეიძლება ადგილობრივ ინტელიგენციის დაუდევრობას არ მიეწეროს.

სამკითხველოს გაურბიან აგრეთვე აქაური ნოქარ-შეგირდებიც. საზოგადოთ მათი მდგომარეობა აუტანელია, არავითარი ნორმალური წესები დასვენებისა მათთვის არ არსებობს. ეს კი ძლიერ უშლის ხელს მათ გათვითცნობიერების საქმეს.

ადგილობრივი ადმინისტრაციის წყალობით საქონლის დაკვლა მხოლოდ ერთ ყასაბს გაუხდია მონოპოლიათ. სარგებლობს რა ამ უფლებით, კლავს დღეში მარტო ერთ სულ საქონელს, რომელიც სრულებით ვერ აკმაყოფილებს ამა თუ იმ გარეშე სოფლიდან მოსულ მუშტარს, ადგილობრივ მცხოვრებთაც.

ხშირათ ავათმყოფისთვის რომ გინდოდეს ხორცი ვერ იშოვით. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და უმთავრესათ ხალხის გულ-შემატკივრებმა.

**შ. ხვადაბული.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

გთხოვთ ეს წერილი მომითავსოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

„ახალი კვალის“ მე-12 ნუმრის ახალ ამბავში მოთავსებულია წერილი, რომელიც ეხება სადგურ რიონში ჩემსა და რევიზორ ლორთქიფანიძის შორის მომხდარ ინციდენტს. წერილი თავიდან ბოლომდის სიცრუეზეა აშენებული.

გაზეთი ამბობს: „როდესაც საბარგო მატარებელი სადგურში შედიოდა, ჩასასვლელ კარებისაკენ გაემართა ახალ-გაზრდა აფიცერი ჯვრებ ორდენებით ბეჭებ დამშვენებული. ამ დროს, ბაქანზე იდგა და მატარებლის გაჩერებას უცდიდა რევიზორი ლორთქიფანიძე, რომელმაც თავაზიანათ უთხრა — მოიცა და ოფიცერს მატარებლის სრულ გაჩერებამდის, მაგრამ ოფიცერმა ხელით გაიკაფა გზა და ბაქანზე ჩავიდა. რევიზორმა მიმართა ჟანდარმს და მოითხოვა ოქმის შედგენა, რაზედაც გაჯავრდა ოფიცერი და უდიერათ მოიხსენია რევიზორი. საქმეში ჩაერია ვიღაც სტუდენტი, რომელმაც საჯაროთ განაცხადა, რომ ოფიცერი უზრდელათ მოიქცა, რაზედაც ოფიცერი კიდევ უფრო გაჯავრდა და შეიქნა სიტყვის სროლა აქეთ იქით, რის შემდეგ ოფიცერი ბუფეტისაკენ წავიდა მუქარით, საიდანაც გამოიტანა მიბარებული პარაბელიუმი და სასროლათ მოემზადა. როგორც იყო სტუდენტი ქალებმა და რევიზორი მოსამსახურეებმა ვაგონ-კანტორაში მიაფარეს, ხოლო ოფიცერს, რომელიც აღმოჩნდა ომში უმაღლესათ დაჯილდოვებული აბხაზავა, სადგურის უფროსმა დაუჩოქა და სთხოვა პატიება“. კიდევ ბევრია ნახმარი მარგალიტი სიტყვები, ვითომ ვიღაც „ჩოხოსან — მენდლოსანიც“ შემხვეწნია ჩემი „ძლევამოსილი ხმალი“ არ გამესვარა „ბინძურ სისხლში“. ამ ამონაწერიდან მე მგონია გონიერი მკითხველი ცხადათ დაინახავს, რომ სიცრუის გუდა გაუბერავს გაზეთის ჰორიკანა კორესპონდენტს.

ჩემი არა ხანგრძლივი ცხოვრების უფროსი დრო მოგზაურობაში გამიტარებია, მაგრამ ჩემგან შეურაცყოფილი არავინ ყოფილა. არ ვარ იმდენათ უზრდელი და ჭკუაზე შეშლილი, რომ ყველა ზრდილობიანსა და პატიოსანი ქცევის კაცს უზრდელათ მოვექცე. მიუდგომელი მკითხველი ამაზედაც დამერწმუნება, რომ თუ ჩვენი ზოგიერთი რკინის გზის მოხელეები რა ნაირის უზრდელობით ექცევიან მოგზაურებს, მით უმეტეს, ვისაც ბედმა გაუღიმა და კანტროლიორობა არგუნა. მე კი ეს ნაკლი თავიდან მაქვს დაყოლილი, რომ ვინც ამაყობს მისი უზრდელობით და თავის თავს ვერა სცნობს, მას ეს უზრდელობა არ ვაპატიო „ახალი კვალის“ კორესპოდენტს სასაცილოთ მიაჩნია ჩემი ჩინ-ორდენები და ამბობს: „ჯვრებ-ორდენებით ბეჭებ დამშვენებულიო“. მე ჯერ არავინ მინახავს ჯვრები და ორდენები ბეჭებზე ქონდეს დაკიდული. გულზე კი მეკიდა რამოდენიმე ჯვარ-ორდენი რომელიც უმაღლესათ ნაბოძები მაქვს ჩემი მცირე, თუ დიდის თავ-განწირვისთვის და არა პროტექტორებისაგან მონიჭებული.

აი ის ინციდენტი, რომელიც ჩემსა და რევიზორ ლორთქიფანიძის შორის მოხდა: 15 ივლისს, როდესაც მატარებელი სადგურ რიონში ჩერდებოდა ვაგონის კარი გავაღე. მატარებლის ბაქანზედ იდგა ბ. ლორთქიფანიძე და თვითონ შევნიშნე, რომ კარი მას მოხვდა, რაზედაც მე საკმაო ბოდიში მოვიხადე, მაგრამ ბ-ნი ლორთქიფანიძე ამით არ დაკმაყოფილდა და ჟანდარმს სთხოვა ოქმი შეედგინა, მე პასუხი გავეცი. ამ დროს ვიღაც ერთმა სტუდენტმა უმოწმა სიცრუე, ვამბობ სიცრუე იმიტომ, რომ მე და ლორთქიფანიძის შელაპარაკების დროს იქ ის არ ყოფილა, რასაკვირველია, ამაღელვა ამ სიცრუემ და მე ვუპასუხე — გამეცალე იქით მეთქი და ჯიბეში ხელი ჩავიდე. თავის თავათ ცხადია თუ შემიტევდენ არც მე დავრჩებოდი უკაცრავათ. ისინი გამეცალენ და ჩემთან მოვიდა სადგურის უფროსი და მთხოვა, რომ ჟანდარმს მათთვის ოქმი არ შეედგინა და მეც ჟანდარმს ვუთხარი ოქმი არ შეედგინა. ეს იყო და ეს მთელი ინციდენტი.

**კორნელი აბხაზავა.**

## ღია წერილი

**გორის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს.**

დიდათ პატივცემულო მიხეილ ყარამანის ძევ! გარემოება მაიძულებს შეგაწუხოთ და უმორჩილესათ გთხოვოთ, აუწყოთ ქართველ საზოგადოებას: თქვენ დამითხოვეთ სასწავლებლიდან, თუ ჩემის ნებით წამოვედი.

გორის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლად ნამყოფი **ი. ცინცაძე.**

## ღია წერილი

**ბ.-ნ. „ხშირ სტუმარ“-ს.**

„სამშობლო“-ს 124-ე №-ში მოთავსებული არის თქვენი წერილი, ხარაგაულის დრამ. საზოგად. და სამკითხველოს შესახებ, და რომ ამ წერილის გამო მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანოთ, ვინაიდან ის სიმართლეს მოკლებულია, გიპასუხებთ შემდეგს: ყველამ იცის და მათთან თქვენც გეცოდინებათ, ბ. „ხშირო სტუმარო“, რომ დაბა ხარაგაულში, თუმცა სამკითხველო არსებობს 1911 წლიდან, მაგრამ მისი მართვა-გამგეობა ამ ბოლო ხანებში, ესე იგი ამა წლის აპრილიდან დაგვევალა ჩვენ, ახალ გამგეობას, და სიმართლე უნდა აღვნიშნოთ, და თქვენც დაგვეთანხმებით, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში, თუმცა ბევრი არაფერი გაგვიკეთებია, მაგრამ არც დაგვიზოგნია არავითარი შრომა, რომ აღნიშნული სამკითხველო დავეხსნა უწყო მდგომარეობისაგან და სწორეთ ეს შრომა უბრალოთ არ ჩატარდა, ცოტათ თუ ბევრათ სისრულეში კიდეც მოვიყვანეთ, წარმოდგენის გამართვით და სხვა და სხვა საშუალებით. ახლა იბადება კითხვა: საზოგადოთ რა საშუალებით შეიძლება დაბეჩავებული და დალარიბებული სამკითხველოს მდგომარეობის გაუმჯობესება და რა უფრო ასულდგმულებს მას? ეს საკითხი რომ დაგესვათ თქვენი წერილის წერის დროს და მის განხილვაში ოდნავ მაინც შესულიყავით, მაშინ დარწმუნებული ვიქნებოდით, რომ თქვენს წერილს არ დაამშვენებდა შემდეგი თქვენი ფრაზები: „ხოლო ადგილობრივ სამკითხველოს გამგეობას და მის „წევრებს“ უსურვებთ სიფხიზლეს და მოქმედება-შრომის უნარს, რომ სხვის ამარა არ ყოფილიყვნენ და თვისვე მოქმედებით შეექმნათ ის, რასაც სხვისგან გამოელიან“-ო. ამგვარ ფრაზების დამწერს, აშკარათ სჩანს, სავსებით ვერ შეუგნია სამკითხველოს შენახვის და მისი სვე-ბედის მნიშვნელობა, თორემ ამის დაწერას არ ინებებდა, და ესეც რომ არ იყოს გასაოცარია სწორეთ ის ადგილი, სადაც ნათქვამია „რომ სხვის ამარა არ ყოფილიყვნენ და თვისვე მოქმედებით შეექმნათ ის, რასაც სხვისგან გამოელიანო“, ან არა და რის „შექმნა“ შეუძლიათ გამგეობის წევრებს ისეთი, რომ წლიდან წლამდე სამკითხველოს ყველა მოთხოვნილება უზრუნველყოფილიყო. მოიღეთ მოწყალება, ბ. „ხშირო სტუმარო“, და გაგვიზიარეთ ეს თქვენი დიდებული ცოდნა და მით მოგვეცით საშუალება გაჭირვებული ჩვენი სამკითხველო სიღარიბისაგან ვიხსნათ, ან იქნება გგონიათ, ბ. ერთგულო „მასწავლებელ — მქადაგებელო“, რომ მხოლოდ საწევრო გადასახადი ფულისაგან, (60 მანათი წლიური შამოსავალი), შესაძლოა აზოგინოთ სამკითხველო წლიდან წლამდე?, არა, ბ. „ხშირო სტუმარო“, შემცდარი აზრი გქონიათ.

გარდა ამისა თქვენ ბრძანებთ: „ჩვენ არ ვხედავთ სამკითხველოს შესახებ გამართულ კრებებს და მისი საქმეების გადაშინჯვა-გადათვალიერებას“-ო. თუ კი ეს სამკითხველოს მდგომარეობას გამოაკეთებს, ინებეთ, დღეიდან, კვირაში თუ მეტჯერ არა, სამჯერ მაინც გავმართავთ კრება — გადაშინჯვა — გადათვალიერების დღეებს და თუ ამ საშუალებამაც ჩვენი სამკითხველოს მდგომარეობა სასიკეთოთ არ შესცვალა, ღირსი იქნებით, ბ. „კეთილის მსურველო“, ღირსეული სახელი გიწოდოთ.

დაგვეთანხმეთ, ბ. „ხშირო სტუმარო“, რომ ჩვენს სამკითხველოს მძიმე ხარჯი აწევს თავზე, როგორიც არის, მაგალითად: სახლის ქირა, გამგის ჯამაგირი (60 მან. წელიწადში და საწვავი შამოსავალი კი დაახლოვებით 50 მანათამდეა), ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და სხვა ამგვარი ხარჯები. გეკითხებით, — რომელ წყაროებიდან გნებავთ ყველა ეს გაისტუმროთ? ან არა და როდესაც თქვენ ბრძანებთ: საიდან შევქმნათ ამ ხარჯების დასაფარავი თანხა! ჩვენ, თვით, გიპასუხებთ საიდან, — და რა წყაროებიდან? აი რა წყაროებიდან — თეატრიდან დიახ, აი! მხოლოდ თეატრიდან შეუძლია ჩვენს დატანჯულსა და დაბეჩავებულ სამკითხველოს ისულდგმულოს. ეს არის ერთად ერთი მისი ხსნა და მისი მანუგეშებელი პატრონი, მაგრამ დახე უბედურებას, ამ ორ ძვირფასს და უსაჭიროესს კულტურულ დაწესებულებების შუა ჩამდგარხართ თქვენ, „ყოვლად ღვთისნიერო სტუმარო“, ფარ-ხმლით შეიარაღებული და ერთი მეორეს არ აკარებთ, არ გსურთ, რომ ერთმა მეორეს ხელი მისცეს და სურვილი გაქვთ რომ ერთის მეოხებით მეორემ „სული დალიოს“, — როგორც ბრძანებთ თქვენ წერილში — „რომ სხვის ამარა არ ყოფილიყვნენ, (იგულისხმეთ სამკითხველოს გამგეობა), და თვისი მოქმედებით შეექმნათ ის, რასაც სხვისგან გამოელიანო“. —

ბ. „ხშირი სტუმარი, როგორც წინა წერილში, ისე უკანასკნელში, დიდის ამბით იხსენიებს ენერგიით აღჭურვილ სამს ერთ არსებას, (თუ მათ შორის თვითონ არ ბრძანდება), და რიხიანათ გაიძახის, ესენი გახლავთ ერთად ერთი სულის ჩამდგმელნი ხარაგოულის ყოველივე დაწესებულებისა, (და არ არიან ამ სოფლისა შინა მყოფნი უცხონი მათდა გარეშე). როგორ მოგწონთ, მკითხველო? ვსთქვათ ეს ასეა, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთი ეს გვიბრძანეთ, ბ. „არამკითხე დამცველო“, ეს მათი აგებული თეატრი, (რომელიც ჯერ არ არსებობს და იარსებებს თუ არა — ეს ღმერთმა უწყის), რას უნდა ემსახუროს და რა დანიშნულება უნდა ექნეს მას; ჩვენ ასე ვფიქრობთ, ვინაიდან სამკითხველოს თეატრი ჩამოაცალეთ, სჩანს თეატრიდან შამოსული თანხა, ვინაიდან მას მეტი გასავალი არა აქვს თავიანთი ჯიბეებისაკენ უნდა გადაუძახონ თქვენმა საქებარმა სამმა ერთარსებამ, და თუ ეს ასეა, მაშინ თქვენმა ნაქებმა მესვეურებმა თავიანთი კუჭის სულის ჩამდგმელობა გამოიჩინეს და არა საზოგადო საქმის. —

დარწმუნდით, ბ, ხშირო სტუმარო“, რომ ჩვენს პატარა კუთხე — ხარაგოულში აგებულმა თეატრმა „უპირველეს ყოვლისა, უნდა გაუწიოს სამსახური თავისივე მეორე უსაჭიროესს კულტურულ დაწესებულებას, როგორიც არის „სამკითხველო“ და აი, სწორეთ ამის — მომხრენი ვიყავით და ვართ კიდეც ჩვენ ამ სამკითხველოს გამგეობის წევრები, და არა ისე, როგორც თქვენ ბრძანებთ: და „აი სწორეთ ამ სამკითხველოს რამდენიმე წევრი ცხადათ თუ ფარულათ წინააღუდგა დრამ. საზოგად. დაარსების აზრს“. ამას შემდეგ მოგმართავთ თქვენ, „ჩვენო პატივცემულო სტუმარო“, ჩვენ ყყოფილვართ წინააღმდეგი დრამატიულ საზოგადოების, თუ თქვენ ბრძანებულხართ სამკითხველოს არსებობის წინააღმდეგ; სწორეთ მოგახსენოთ სასაცილო იქნებოდა თქვენი ამგვარი ქცევა, რომ ერთსა და იმავე დროს სასაცილო არ იყოს, მით უმეტეს ამ თქვენგან შეთხზულ აზრს რაღაც პროვოკაციის სუნი ასდის, და არა სიმართლეზედ არის იგი დამყარებული.

ახლა ჩვენც მოგვეცი ნება მივმართოთ შემდეგი სიტყვებით მომავალ დრამატიულ საზოგადოებას, რომელიც შექმნილ იქმნა „ნორჩი დრამატიულ ჯგუფისაგან“,

გისურვებთ, პატივცემულო საზოგადოებავ, რომ თქვენ მაინც არ გემოქმედნოსთ იმ მავნე აზრებით, რა აზრებითაც არის გამსჭვალული ჩვენი ბ. „ხშირი სტუმარი“ სამკითხველოს შესახებ; თორემ, შენი მტერია, ამ „სათაყვანო სტუმრის სურვილი“ და სიტყვები „სამკითხველოს მდგომარეობა და დრამატიულ საზოგადოების არსებობა მუდამ საფრთხეში იქნება“-ო. — სავსებით გამართლდება.

თქვენ კი, ბატონო „ხშირო სტუმარო“, მოგახსენებთ ერთს: ვინაიდან თქვენი სიმართლეს მოკლებული სიტყვები, აგებული უნდა იყოს მხოლოდ პირად ინტერესებზე, გისურვებთ, რომ დაგეგმოთ ყოველივე ეს, და პირნათლად შეხვდროდეთ ყოველივე საზოგადო კულტურულ დაწესებულებებს და გარწმუნებთ, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენში კეთილ ნიადაგის მოპოვება მათთვის, და არა პირადი ინტერესებით, პირადი ქიშპობით და სხვა საშუალებებით. —

**გამგეობა.**

რედ. გამომც. **ი. თ. ცინცაძე**


### ძმათა ყორყოლიძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

**მიღებულია დიდძალი**

# საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფესები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

### თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

## ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

**სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტფილისის რკინის გზ. შტოზე.**

# სამკურნალო აბანო

**პ. ვ. ობოლაძის.**

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.